სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

39120224161519

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190751442

რეგისტრაციის თარიღი

27.06.2019 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაშვიდ ივნისს, მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია,** მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **შოთა ბასილაშვილმა.** მან, როგორც **შპს "მზიური"-ს დირექტორმა,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **თამაზი მურვანიძეს. შოთა ბასილაშვილმა** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე შოთა ბასილაშვილის, როგორც შპს "მზიური"-ს (რეგ. 30/03/2004წ. ს/ნ 205025079. განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19055481, 17/05/2019 11:21:43, იურიდიული მისამართი: საქართველოს, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ. #113დ) დირექტორის უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი: შოთა ბასილაშვილმა (დაბ: 17.12.1977 წ. ქ. თბილისში პ/ნ 01024008294, რეგ. მის: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. #21, ბ. #54) - შპს "მზიური"- ს დირექტორმა რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", თამაზი მურვანიძეს (დაბ: 13.07.1956წ. ლანჩხუთში, პ/ნ 01015021376), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი
მინდობილი პირი უფლებამოსილია:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, საკადასტრო, ზედამხედველობის, მუნიციპალურ სამსახურებში, გამგეობებში, საკრებულოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს/წარადგინოს/დაამტკიცოს პროექტები, ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტები, მიიღოს ნებართვები, შეიტანოს კორექტირება პროექტში დაამტკიცოს კორექტირებული პროექტები, საზოგადოების სახელით წარადგინოს განცხადებები, ჩააბაროს და მიიღოს დოკუმენტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, წარადგინოს/მიიღოს ნახაზები, შეიტანოს კორექტირება მონაცემებში, გასცეს და ხელი მოაწეროს თანხმობებს, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გასხვისების უფლების გარეშე.

ასევე მინდობილი პირი იცავს მინდობილი პირის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს. ამ მიზნით წარმოადგენს მას საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსგს-ს სამსახურებში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, პროკურატურაში, სამართალდამცავ

ორგანოებში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან, არბიტრაჟში, იუსტიციის სამინისტროში, მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არქივებში, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, კერძო კომპანიებში (მოლაპარაკების წარმოების უფლებით).

მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის მოქმედება და პროცედურა, რაც აუცილებელი იქნება მიმნდობის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების და უფლებების დასაცავად; საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს შესაბამისი საქმე (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის სააპელაციო, საკასაციო და საარბიტრაჟო სასამართლოში. მინდობილი პირს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, კერძოდ, რწმუნებული უფლებამოსილია: ა) მიმნდობის სახელით შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით; ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი (კერძო საჩივარი) სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; გ) შეცვალოს სარჩელის საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; დ) ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო (ადმინისტრაციული) საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით, მათ შორის იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით, იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით საქმე მორიგებით დაამთავროს, ცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, მიიღოს სააღსრულებო დოკუმენტები (ფურცელი), მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო წარმოებაში, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი, შეაჩეროს, გამოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი; იყოს წარმომადგენელი სახელმწიფო ხაზინაში, გადაიხადოს ბაჟი; დაიბრუნოს გადახდილი ბაჟი. რწმუნებული ვალდებულია დავალება შეასრულოს პირადად. იგი უფლებამოსილია დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირები, დაიქირავოს ადვოკატი და/ან წარმომადგენელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს დადგენილი განაცხადები, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა:
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.
მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.

აქტის ეგზემპლარები და დანართი:
წინამდებარე აქტი შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:
შპს "მზიური"- ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, გადახდილია სანოტარო საზღაური: 10 (ათი) ლარი, დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთ აღნიშნული დადგენილებისა.

მიმნდობი: **შპს "მზიური"**- ს დირექტორი:

სახელი, გვარი ქოთა ბასილაშვილი

ნოტარიუსი ანჟელა მანია

აკინძულია

ფურცელი

ნოტარიუსი